www.tezaurliturgic.ro

# სადღესასწაულო განგება
# წმიდისა დიდისა მეფისა
# ვახტანგ გორგასალისა

**დიდ მწუხრსა ზედა**

ვჰგალობთ **ნეტარ-არს კაცსა,** I აღსავალსა

**უფალო ღაღად-ვყავსა ზედა დასდებელი**

**მუკლი 8. წმიდისა ვახტანგისი ხმაჲ 4. მოგიცემიეს**

გერწმუნა რაჲ საყდარი მამა-პაპათაჲ, გარდაემატე ძუელთა, გინა ახალთა მეფეთა ღუაწლთა, ქრისტე აღიარე ღმერთად და მეუფედ და ქუელისმოქმედად და მკსნელად და მძლედ ყოველთა მთავრობათა და უმაღლეს კელმწიფებათა, ამისთჳსცა წარგიმართა ქრისტესმოყუარჱ იგი მეფობაჲ შენი, ახოვანო მეფეო ვახტანგ! იესუ ყოვლად ძლიერმან და მკსნელმან სულთა ჩუენთამან.

დაღათუ იყავ ასაკითა უსრული, უმაგალითო სიმკნჱ აჩუენე და თჳთ წარუძეღ ლაშქარსა წინამბრძოლსა, გარნა არა ძალითა თჳსითა იქადოდი, არამედ ძალითა ღმრთისაჲთა, და ვითარცა დავით გოლიათს, ეგრეთვე შენცა მძლე ექმენ სხუათა უმეტეს ბუმბერაზთა, ოვსთა – თარხანსა და ბაყათარსა, შემდგომ აღუზახე სპათა თჳსთა და ბრძოლათა შინა უსასტიკესთა სძლე რაჲ ოვსთა და ხაზართა, მათ მიერ წარტყუენილი დაჲ შენი გამოიკსენ, ახოვანო, და დიდებაჲ მიეც სამებასა წმიდასა.

ვითარცა გული შენი, განბრძნობილი შჯად ერისა შენისა, იყო კელთა შინა ღმრთისაჲთა, სწორუპოვარო მეფეო ქართველთაო, ეგრეცა ლმობიერ ჰყვენ გულნი ჩუენნი ფიცხელნი აწ ტკბილითა წყალობითა შენითა და წარმართენ სლვანი ჩუენნი მცნებათა მიმართ საღმრთოთა, რაჲთა შეგუჭურნეს ჩუენ კელითა თჳსითა უძლეველითა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა, იესუ ყოვლადძლიერმან და მკსნელმან სულთა ჩუენთამან.

მეფობდი რაჲ ზეგარდამოჲთა მით მადლითა, ვითარცა ახოვანმან მოღუაწემან და მძლე-მძლავრმან, აღიჭურვე მკლავნიცა მოწყუედად წინააღმდგომთა ღმრთისაჲთა და ერი შენი, წმიდაჲ და სამეუფოჲ, უშიშად დაიცევ, ხოლო კლარჯეთი და აფხაზეთი შემოუმტკიცე კუალად ქუეყანასა შენსა და საზღუარნი იბერიისანი განავრცენᲘ, ამისთჳსცა ღირს იქმენ, სასუფეველსა ცათასა, სანატრელო მეფეო, ვახტანგ! რომელი დაგიმკჳდრა იესუ ყოვლადძლიერმან და  და მკსნელმან სულთა ჩუენთამან.

სკიპტრისმპყრობელთა შორის უსაჩინოესო! ყოველსა ქუეყანასა განსცა კმაჲ შენი ქრისტემან, და ურიცხვსა მტერსა დასცა ზარი შენი, და შიშნეულად გერჩდეს ყოველნი, არამედ აწ მოიწია ჩუენ ზედა მწუხარებაჲ ძლიერი და ფრიად შემრწუნებულ ვართ და გვეშინის, რამეთუ გვერივნეს მტერნი ცოდვათა ჩუენთათჳს და მიგვტაცეს ძირ-ძუელნი მხარენი, ხოლო შენ შემოგჳკრიბენ მამულნი განბნეულნი, და ურთიერთმტერობისაგან გჳკსენ მართლმორწმუნენი ერნი, რაჲთა არა ვიქმნეთ საცინელ უღმრთოთა და წარმართთა და უსჯულოებისადმი არა მივიდრიკოთ შენდამი მგალობელნი

**დიდებაჲ... ხმაჲ 2**

გონებაჲ შენი უვნებლობითა განაბრწყინვე და საღმრთოჲთა სიმდაბლითა განაშუენე, ჱ, საკჳველ-მაღალო კელმწიფეო, რამეთუ მეუფებდი რაჲ ზეგარდამოჲთა მით მადლითა, აღამაღლებდი ჯუარსა საღმრთოჲსა ძლევისასა, რომლისა მიერ წარსწყმიდნე მტერნი იგი მბრძოლნი ქრისტჱსნი და მშჯდობასა შინა განამტკიცენ მართლმადიდებელთა სარწმუნოებაჲ, რომლისათჳსცა მზემან სიმართლისამან განგანათლა შენ და მნათობად ცის-კიდეთა გამოგაჩინა.

**აწდა...**

ვინ არა გნატრიდეს შენ, ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხრწნელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი იგი უჟამოდ მამისაგან გამობრწყინდა, ძჱ მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწოჲსა გამოვიდა გამოუთქმელად ჯორცშესხმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენთჳს კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკვეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევნელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათჳს სულთა ჩუენთასა.

www.tezaurliturgic.ro

**შესლვად წარდგომაჲ დღისა და საკითხავი 3**

მესამე მეფეთა საკითხავი (თავი 8).

წინასწარმეტყველება ისაიასი საკითხავი (თავი 1).

წინასწარმეტყველება ისაიასი საკითხავი (თავი 1).

იხილეთ კა მაისს (ძვ. სტ) წმიდა ელენესა და კონსტანტინეს ხსენების დღეს.

**ლიტსა ზედა დასდებელი ტაძრისა და ვახტანგისა**

მოვედით, ჰ, მწყობრნო ქართველთანო, და ვადიდებდეთ ქრისტესა ღმერთსა, რომელმან გამოაჩინა ნეტარი ესე და მჯნჷ ჴელმწიფჷ, ვინაჲცა აღაშენა ტფილის–ქალაქი ჩუენი დიდებული და წმიდანი ეკლესიანი და მის მიერ დაემტკიცა თჳთმყოფადობაჲ ეკლესიისაჲ საქართველოსა შინა.

სკიპტრაჲ შენი თჳთ-მპყრობელობისაჲ ზღუდედ უბრძოლველად გვივის ქართველთა ერსა, ქრისტჷს სისხლითა მოსყიდულთა და განთავისუფლებულთა, და ერად საზეპუროდ აღნიშნულთა და აღწერილთა, საჩინოო, ახოვანო, მჯნეო, სახელოვანო გჳრგჳნოსანო, წმიდაო ვახტანგ გორგასლანო, რამეთუ ესრეით გუექადაგა, გუებრძანა და განგუეჩინა შვილთა აღმოსავლეთისათა და ძეთა მართლმადიდებელთა.

არა კაცთაგან მიმღებელ იქმენ შენ წოდებისა, მსაჯულო სიმართლისაო, არამედ გამორჩევითა მით ზეგარდამოჲთა, გამოგირჩია ქრისტემან მეუფემან, და მით მოგმადლა შენ ჴელმწიფებაჲ და მფლობელობაჲ საზეპუროსა ერსა ზედა, არამედ აწ ევედრე ქრისტესა, რაჲთა მოიხილოს ერსა თჳსსა ზედა, რომელსა არა აქუს სიტყჳსგებაჲ წინაშე მისა, და დაიცვას ყოვლისაგან ჭირისა.

ვითარცა ძუელნი მატიანენი გუაწყებენ, ღუაწლითშემოსილო, იყავ საკუთართა შორის სპარსთა მეფისაჲთა და დისწული რანის ერისთავისა ვარაზ-ბაკურისაჲ, და სპარსთა თანა წარხუედ რაჲ ბრძოლად ბერძენთა ზედა, საღმრთოჲსა ჩუენებისა მიერ გეუწყა, რაჲთა არა ბრძოდე მართლმორწმუნეთა მათ თანა, რომელნი მსახურებენ ცეცხლთა და არა ღმერთსა. და მიერითგან აღადგინე მშჳდობაჲ შუამდგომლობითა პეტრე მღდლისა და სამოელ ბერისაჲთა და აღამაღლე გჳრგჳნი მართლმადიდებელთაჲ.

ეჰა, რაბამი დიდებულებაჲ შეგძინა შენ სიმჯნემან, უძლეველო მეფეთა შორის, რამეთუ საცეცხლენი იგი აღპყრობითა და ამაღლებითა ძელისა ცხორებისაჲთა დაამჯუე, და ცეცხლ-მსახურნი განასხნე, ხოლო ეპისკოპოსი, სპარსი ბინაქარ, რომელიცა იჩემებდა სარწმუნოებასა, საპყრობილესა შეაგდე, დიდო მეფეო, და დასვი სხუაჲ, ჭეშმარიტი ეპისკოპოსი მცხეთას, ღირსი მიქაელ.

დაადგინე რაჲ პეტრე მცხეთას კათალიკოზად ქართლისა, ხოლო სამოელ მონაზონი ზემო ეკლესიასა ეპისკოპოსად, დასხენ სხუანიცა ეპისკოპოსნი მადლითა ღმრთისაჲთა: კლარჯეთსა, და ერუშეთს, წუნდას, მანგლისს, ბოლნისს, რუსთავსა და ნინოწმიდას; ჭერემს, ჩელეთს, ხორნაბუჯსა, აგარაკსა და ნიქოზსა, ხოლო თჳთ დაჯექ უჯარმასა, გარნა მოელოდი რაჲ სპარსთა, მეფეო ვახტანგ, ამაგრებდი ციხე-ქალაქთა ივერიისათა.

ესმათ რაჲ უსჯულოთა მათ ნათესავთა შენთა, მართალო და დიდო მეფეო, რამეთუ ცეცხლ-მსახურნი განასხნე, განძჳნდეს შენზედა ამპარტავნებითა, და ურიცხვითა მჴედრობითა აღილაშქრეს და ენებათ დამორჩილებაჲ ქართველთაჲ, ხოლო შენ არა შეშინდი შიშისაგან მძლავრთაჲსა, არამედ განამამაცე გუნდი ლომებრთა ვაჟკაცთაჲ, და მორტყმული საჭურველითა და განმჯნობილი ბრძოლად ოთხ თუემდე ბრძოდი უსჯულოთა.

ჰყავ რაჲ სპარსთა მიმართ ბრძოლაჲ დიდებული, ალმასისა ჯრმლითა სასტიკად სრვიდი სპასა მათსა, ვითარცა ლომი კანჯართა და სძლიე სასოებითა ჯუარცმულისაჲთა, ხოლო იგინი უყიოდენ ურთიერთას: „დურ აზ გორგ-ასლან“, რომელ არს: „ეკრძალეთ თავსა მგლისასა“, რამეთუ სახოვნებაჲ მგელ-ლომისაჲ გაქუნდა მუზარადსა ზედა ოქროვანსა, და მიერითგან, სახელ გედვა შენ, მეფეთა შორის უძლეველო, – გორგასლან, ხოლო „ვახტანგიან-გორგასლიანი“ ეწოდა დროშასა ქართლოსიანთასა, ამისთჳს სიხარულითა აღვივსებით და მადლობასა შევსწირავთ ქრისტესა, გჳრგჳნოსანმყოფელსა შენსა.

ჟამსა ბრძოლისასა შეიპყრეს სპარსთა გამზრდელი ცოლისა შენისაჲ რაჟდენი, თჳსტომი მათი, რომელმანცა მრავალნი სპარსნი გოლიათნი ბრძოლასა შინა მოკლა, და უბრძანეს სარწმუნოებისა დატევებაჲ, გარნა მან იღუაწა ქრისტჷსთჳს ღუაწლი იგი უკუდავებისაჲ, ხოლო შემდგომად მისა შენცა შეიმოსე ქრისტჷსთჳს და შჯულისა

მისისათჳს გჳრგჳნი მოწამეობისაჲ, ღმრთივგჳრგჳნსანო მეფეო, კეთილმსახურო, ჴელითა უღმრთოთა სპარსთაჲთა.

ახოვანო, წყობათა შინა და გამოცდილო და რჩეულო მჴედარო და დიდებულო მეფეო ქართველთაო, პირველმოწამისა რაჟდენისა თანა, ითხოვე ქრისტჱს მიერ შეურყეველად დაცვაჲ ეკლესიათაჲ, და მოცემად ჯუარითა ძლევაჲ ერსა ჩუენსა, და სიმტკიცჱ მორწმუნეთა და ამაღლებაჲ რქისა მათისაჲ, მწვალებელთა მათ ზედა, მშჯდობაჲ სოფელსა და მგალობელთა შენთა დიდი წყალობაჲ.

**დიდებაჲ... ხმაჲ 5**

დღეს იხარებს კრებული ესე ღმრთივ-შეკრებული, და ჴსენებასა შენსა წმიდასა პატივს-სცემს ყოვლად-ქებულად მჴმობელი: გიხაროდენ, გმირო იალბუზისაო, გოლიათო, მთისა კავკასიონისა მომდრეკელო; გიხაროდენ, ახოვანო და უძლეველო, დარიალანისა კარისა დამხშველო; გიხაროდენ, ოვსთა და ხაზართა ქედმაღლობისა და კადნიერებისა დამამდაბლებელო; გიხაროდენ, სასოებითა ღმრთისაჲთა მტერისა აღლესულისა მახჯლისა დამლეწველო; გიხაროდენ, განლაღებულთა მათ ბარბაროზთა ღონისა შემმუსრველო; გიხაროდენ, კაცთა შორის საკჳრველო მეფეო და დიდებულო მოღუაწეო, წმიდაო ვახტანგ გორგასლანო!

**აწდა ღმრთისმშობლისა.**

**სტიქარონსა ზედა დასდებელი, ხმაჲ 2**

ჴსენებაჲ შენი ყოვლად პატიოსანი, განაცისკროვნებს კიდეთა ღმრთივცნობისა ნათლითა, ძლევაშემოსილო, ბრძენო ჴელმწიფეო, რამეთუ შენ მეფეთა შორის სიმჴნისა ღუაწლისა მოღუაწებითა კეთილმსახურად გამოჩნდი და შჯულნი დაიმარხენ ზეციერისა მეუფისანი, რომლისათჳსცა სათნო-ყო სიკეთჱ მეფობისა შენისაჲ მეუფემან ჩუენმან, და ჴელმწიფეთა სახელისა და დიდებისა შარავანდედად გამოგაჩინა.

**მუჴლი. აღვამაღლო რჩეული ერისაგან ჩემისა, ვპოვე დავით მონაჲ ჩემი.**

მოიღე რაჲ ღმრთისაგან პატივი და ნიჭი მეფობისაჲ, სურვილი წმიდისა მეფისა მირიანისაჲ ჯეროვნად აღასრულე, და მონასტერი ჯუარისაჲ იერუსალჱმსა შინა ღმრთივბრწყინვალედ აღმართე, ხოლო ივერიისა ყოველნი საყდარ-ეკლესიანიცა არა დაუტევე, და მერჱსა, შინდობნისა და ახიზისა მონასტერნი დააარსე და მოწყალებითა იესუის ღმრთისა მსგავსითა წყალობითა დიდითა აღავსნე.

**მუჴლი. ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისა.**

აწ იხარებს და განსცხრების ივერთა ეკლესიაჲ ჴსენებითა შენითა, და იქადის და ღაღადებს ეკლესიაჲ ჯუარისაჲ და მეტეხი მადლითა და დიდებითა შენითა, ხოლო ჩუენ მხილველნი ნიქოზისა და ბეთლემიისა, გუეშინის რაჲ დადუმებად, სარწმუნოებითა და სასოებით გადიდებთ, და ვითარცა ტფილისისა დამაარსებელსა და ეკლესია-მონასტერთა აღმაშენებელსა, გალობითა ქებისაითა დაუცხრომელად გიღაღადებთ.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

უფლისა მიერ კურთხეულო და სვე-ამაღლებულო ჴელმწიფეო, გიხაროდენ, განუშორებელ არს შენგან მარადის წყალობაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ ღუაწლი კეთილი მოგიღუაწებიეს, სრბაჲ აღგისრულებიეს და სარწმუნოებაჲ დაგიმარხავს საქმითა კეთილითა განსრულებული, ამისთჳსცა მიითუალე სიმართლისა იგი გჳრგჳნი, უძლეველო მეფეო ვახტანგ გორგასალო, რომელი მოგანიჭა შრომათა წილ შენთა წმიდათა, იესუ ყოვლადძლიერმან და მჴსნელმან სულთა ჩუენთამან.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ღმრთისმშობელო, სასოო ყოველთა მვედრებელთა შენთაო, შენგან სასოებაჲ გუაქუს, შენგან ვიქადით, შენდა მომართ არს ყოველი სასოებაჲ ჩუენი, მეოხ გვეყავ შენგან შობილისა მიმართ სულთა ჩუენთათჳს.

**ცისკრად ღმერთი უფალსა ზედა, ტროპარი წმიდისა 2-გზის, დიდება და აწდა ღმრთისმშობლისა, აღდგომისა.**

**ტროპარი წმიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა**

ძლევანი ყოვლად დიდებულნი საჭურველითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისაითა წარმართენ, საწუთოჲ სამეფოჲ სიბრძნითა განაგე და ეკლესიაჲ ქართლისაჲ ღუაწლითა შენითა განაშუენე, და აწ იხარებ წინაშე უკუდავისა მეუფისა, წმიდაო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ ჩუენ ცოდვილთა.

**კურთხევასა ზედა პურისასა, ტროპარი წმიდისა ვახტანგისი 2-გზის და ღმრთისმშობელო ქალწულო.**

**შემდგომად I კანონისა, წარდგომა**

ზეცისა სუფევისა მკურვალედ სურვილითა, მეუფესა და ღმერთსა ყოველთასა, გონებითა უბიწოჲთა ჰმსახურე, და მიუდრეკელ ხვიდოდი რაჲ საშუალ, გზასა მას სამეუფოსა, წარმართე ერნი მცნებათა მიმართ საღმრთოთა, განიოტე ცოდვისა ბნელი და განანათლე სავსებაჲ ქრისტჱს მორწმუნეთა, ეგრეთვე აწ სულთა ჩუენთათჳს გამოკსნაჲ ითხოვე, ღირსო მეფეო, და გჳძღვიდე ჩუენ სლვად გზასა მას მცნებათასა და შენთანავე ღირს-ყოფად სასუფეველსა ცათასა.

**დიდებაჲ... იგივე. აწდა ღმრთისმშობლისა.**

საღმრთო სამკჳდრებელ-იქმენ სიტყჳსა, მხოლო ყოვლად წმიდაო დედაო და ქალწულო, სიწმიდითა ანგელოზთა უმაღლესო, უფროჲს ყოველთა შეცოდებითა მე მტვერ-ქმნილი და კორცითა შეგინებული განმწმიდე ვედრებითა შენითა საღმრთოჲთა წყლითა და მომმადლე, წმიდაო, დიდი წყალობაჲ.

**შემდგომად II კანონისა, წარდგომა**

მხიარულითა გულითა მოვრბიოდეთ, მორწმუნენო, ტაძარსა ღმრთისასა, დავბეროთ ნესტუსა გალობათასა, და განვსცხრებოდეთ და ვიშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა ძლევაშემოსილისა მეფისა ჩუენისასა, და ვადიდებდეთ კსენებასა მისსა ყოვლად ბრწყინვალესა და საკელოვანსა. **დიდებაჲ. იგივე. აწდა ღმრთისმშობლისა.**

წინათ დასახავს გედეონ მიდგომილებასა, ხოლო დავით მოუთხრობს შობასა შენსა, ღმრთისმშობელო, რამეთუ გარდამოხდა ვითარცა წვიმაჲ საწმისსა ზედა სიტყუაჲ მუცელსა შენსა, რომელმანცა აღზარდე იგი უთესლოდ ქრისტე ღმერთი ჩუენი, ქუეყანაო წმიდაო სოფლისა ცხორებაო, მიმადლებულო.

**შემდგომად სადიდებელისა წარდგომა**

რომელმან მზეებრ მოჰფინე წყალობაჲ ღმრთისაჲ ყოველთა მკჳდრთა ქუეყანისა შენისასა და განსწავლენ ქართველნი სიწმიდითა ცხორებად და სიმართლითა სლვად, აწ მოგუეც გულისკმის-ყოფაი შეცოდებათა ჩუენთაჲ, და გჳკსენ მარადის საბრკეთაგან ეშმაკისაჲთა და მზაკუარებათაგან კაცთაჲსა. **დიდებაჲ... იგივე.**

**აწდა ღმრთისმშობლისა.**

განაახლენ, წმიდაო, საღმრთოჲთა შობითა შენითა, განხრწნილი ვნებათა შინა ქუეყანისა შობილთა მოკუდავი არსებაჲ, და აღადგინენ ყოველნი სიკუდილისაგან უხრწნელებისა ცხორებად, ამისთჳს ჯერისაებრ გნატრით შენ, ქალწულო, უფროჲსად ყოვლად საგალობელო.

**აღსავალი I, მეოთხე ხმისა**

სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძუანან მე არაწმიდანი ვნებანი, ამისთჳს გევედრები: შემწე მეყავ და მიკსენ, სახიერ.

რომელთა გძულთ სიონი, სირცხვილეულ-იქმენით უფლისა მიერ, და ვითარცა განხმული თივა შეგჭამნესთ გეენიამა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცხოველ-იქმნების და სიწმიდით ამაღლდების, და განბრწყინდების სამებისა მიერ ერთ-არსებისა, ღმრთივშუენიერად და საიდუმლოდ.

**წარდგომა, ხმაჲ 4**

და აღვამაღლო რჩეული ერისაგან ჩემისა.

**მუკლი:** ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისა.

ყოველი სული. სახარებაჲ იოანესი, თავი 10, მუკლი 9. (ჰრქუა უფალმან მოსრულთა მათ ჰურიათა...) დასასრული, მუკლი 17. (და ერთ მწყემს....)

**შემდგომად 50 ფსალმუნისა,**

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

მეოხებითა დიდისა მეფისა წმიდისა ვახტანგისა, მოწყალეო, აღკოცე ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

მეოხებითა ღმრთისმშობელისაჲთა, მოწყალეო, აღკოცე ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი.

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა, აღკოცე უშჯულოებაჲ ჩემი და შემიწყალე მე, ღმერთო.

**შემდგომ ამისა დასდებელი**

კსენებაჲ შენი აღმოგჯბრწყინდა ჩუენ დღეს, ვითარცა მირონი აღმონადენი, რამეთუ ქრისტე შეიყუარე და ქართველნი განამტკიცენ, შიშით მონებად ღმრთისა და ერთგულობით უფალთა თჳსთა, და ტაძარნი: მაცხოვარისაჲ, ჯუარისა წმიდისაჲ და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ დედა ქალაქისა ჩუენისა ზღუდედ და გოდლად აღგჳმართენ.

**კანონი ღმრთისმშობლისა, ძლისპირითა მუკლი ვ,**

(იხილეთ მეფეთა სადღესასწაულო მსახურებაში.)

**სხუაჲ კანონი წმიდისა, მუკლი 8**
**გალობა 1, უგალობდითსა, ხმაჲ 4 გუერდი**

**ძლისპირი:** ქუეყანასა მწყურნებსა, ვითარცა ხმელსა, განვიდა და შრომათაგან ეგვიპტისათა განერა ერი ისრაელთაი, ღაღადებდა: მკსნელსა ჩუენსა და უფალსა უგალობდეთ.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ᲐᲬ მეუფეო, ქრისტე ღმერთო სახიერო, რომელი ესე აწ მძლავრობს და მეუფებს ჩუენ შორის ცოდვაჲ, ვედრებითა კეთილმსახურისა მეფისა ვახტანგისაჲთა მიკსენ მისგან და განმაძლიერენ მე.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

აღიღე ჯუარი, რომლისა მიერ მოქადულ-იყავ შენ, სამ-გზის სანატრელო მეფეო, და წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა და წინაჲსწარ უწყებითა ღმრთისაჲთა წარმართენ სლვანი შენი მცნებათა მიმართ საღმრთოსა.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

მცნებანი ღმრთისანი, ვითარცა ქუეყანამან რჩეულმან შეიწყნარენ, და მართლმორწმუნენი შეიყუარენ, ხოლო ცეცხლისმსახურნი განასხენ და საცეცხლურნი მათნი დაშრიტენ.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ვედრებად შენდა არა დავსცხრებით, მსწრაფლ-შემწეო ჩუენო კელმწიფეო, და მოვივლტით პატიოსანსა ხატსა შენსა წმიდასა და ვითხოვთ შენ მიერ შეწევნასა მარადის, დიდებულო.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

ვითარცა ხარ კელმწიფᲗ უძლეველი და ღუაწლით შემოსილი, ყოვლად ქებული და თანა შემწე სარწმუნოებისაჲ მკნᲗ, ესრეთ გუექმენ შემსხმელთა შენთა გოდოლ სიმტკიცისა და შეგვზღუდენ ჩუენ ოხითა შენითა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ბჭეო აღმოსავალისა საღმრთოჲსაო, განმიხვუენ მე კარნი სინანულისანი და ბჭეთაგან სიკუდიდ-შემოსილისა ცოდვისათა, მიკსენ შუამდგომელობითა შენითა, ღმრთისმშობელო.

**გალობა 3, განძლიერდასა**

**ძლისპირი:** განმაძლიერებელ მექმენ მე, დამბადებელო ცისაო და ქუეყანისაო წყალთა ზედა. დამამტკიცე მე, ქრისტე, ეკლესიისა კლდესა ზედა, რამეთუ არა ვინ არს წმიდაჲ შენებრ, კაცთ-მოყუარე.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

იყავ, მკნეო, გამოცდილ მკედრობითსა წყობასა და კუეთებასა, ბრძენო, წინააღმდგომთა ყოველთასა, რომლითა დასცენ და შემუსრენ ცეცხლისა თაყუანისმცემელნი. ეგრეთვე აწ ბნელი უღმრთოთაჲ განხადე და განანათლენ მორწმუნენი.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ვერცა წელთა ცვალებამან და ვერცა ჟამთა ვითარებამან შეუძლო დავიწყებად შრომათა შენთა, რამეთუ არა სცემდი განსუენებასა თავსა თჳსსა და დააფუძნე ტფილის–ქალაქი ჩუენი დიდებული და საძირკველად სულიერად დაუდე წმიდანი ეკლესიანი მსგავსად იერუსალიმისა

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

შესავედრებელ გუექმენ ჩუენ, და ძალ-მწე, ზეშთა ბრწყინვალეო ჴელმწიფეო, რომელნი ესე სარწმუნოებითა და სიყუარულითა პატივს-ვსცემთ მარადის სახარულევანსა და ყოვლად სანატრელსა ჴსენებასა შენსა და გიღაღადებთ:

.**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

დღესასწაულობს ერი შენი ჴსენებასა შენსა და ღაღადებს შენდა მომართ: ჲ საღმრთოჲთა მადლითა განბრწყინვებულო, ვახტანგ გორგასალო, მოგუხედენ, ზეცით გარდამო და გჴსენ სოფლისა ღელვათაგან დაუნთქმელად

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

დიდ-არს ძლევაჲ ბრწყინვალჱ, რომელი აჩუენე ჴორცთა შინა მყოფმან, ვითარცა უჴორცომან, რამეთუ ქრისტჱსთჳს გსუროდა სიკუდილი, რომლითა მიხვედ უკუდავებად და სიხარულითა ღუაწლისა შენისაჲთა ეკლესიაჲ შუენიერად მეწამულ-ყავ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

მოქალაქობისაგან წმიდისა განვვარდი, ყოვლადწმიდაო, და ვებაძუე პირუტყვთა და ყოვლითურთ დაშჯილ ვიქმენ, მშობელო მსაჯულისაო, ყოვლისაგან დაშჯისა მიჴსენ და მაცხოვნე მე.

## წარდგომაი, ხმაჲ 4

ვითარცა კლდჱ და გოდოლი მტკიცჱ და ურღვეველი ზახებასა მტერთასა არა შეშინდი, არამედ მძლავრთა უშჯულოებანი განაქიქე და მბრძოლთა მტერისაჲთა ცხადად არცხვინე, ხოლო მოიკალ რაჲ ჴელითა სპარსთაჲთა, ზეცისა მჴედრობათა თანა ბრწყინვალედ განშუენებული ქრისტესა წარმოუდეგ. ევედრე მას შეწყალებად სულთა ჩუენთა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

ჭეშმარიტად საკჳრველ-არს სურვილი და სიყუარული შენი და ღმრთისმსახურებაჲ, რამეთუ სხუათა მათ სათნოებათა შენთა კლდეთა ზედა მაღალთა და ადგილთა მათ წმიდათა აღაშენენ ტაძარნი და მონასტერნი სადიდებელად ღმრთისა და ეკლესიაჲ მოციქულთაჲ სუეტი ცხოველი განაახლე და შეამკევ მცხეთას.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

უსძლოო ღმრთისმშობელო, ქალწულო წმიდაო, მხოლოო მორწმუნეთა შუამდგომელო, დაგვიფარენ განსაცდელთა და ჭირთაგან, და ბოროტის გარემოდგომილებისა გჴსენ ყოველნი, უბიწოო, რომელთა ყოველი სასოებაჲ შენ ზედა დაგვიძს, და აცხოვნენ სულნი ჩუენნი საღმრთოჲთა ვედრებითა შენითა.

## გალობა 4, *უფალო მესმასა*

**ძლისპირი:** მესმა, უფალო, განგებაჲ საიდუმლოთა შენთა გამოუთქუმელთაჲ, განვიცადენ საქმენი შენნი და აღვიარე მე ღმრთეებაჲ შენი.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ქებით შეგამკობთ შენ, ღირსო მეფეო, და მეოხ-გყოფთ წინაშე ღმრთისა, რაჲთა წყალობითა ჴელი აღგვიპყრას სარწმუნოებითა შენდამი მოლტოლვილთა.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

მღდელთმთავარნი მღდელთა თანა, ჭაბუკნი და ქალწულნი, მოხუცებულნი, ყრმანი, და ყოველი სიმრავლჱ ერისაჲ ეკლესიად მოკრბება და სიხარულით აღასრულებს ჴსენებასა შენსა.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ვითარცა მამასა ქართველთა ერისასა ესრეთ გქადაგებთ შენ, ახოვანო მეფეო ვახტანგ, და სარწმუნოებითა გიღაღადებთ: მოგჴსენენ საწადელისა შენისა ქრისტჱს თანა.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ღმრთისა ბრწყინვალებათა ლამპარო მრავალმნათობო, მზემან სიმართლისამან განგანათლა შენ და მნათობად ცის-კიდეთა გამოგაჩინა, აწ ბნელი ცოდვათა ჩუენთა განანათლე, გევედრებით, სიწმიდითა შენითა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

რომელმან სიმკნჷ საკჯრველი აჩუენე და მრავალ-ღონჷ იგი სივერაგჷ მტერისაჲ დაამჯუე, აწ მაღალთა მათგან სავანეთა მოგუჯედენ, ახოვანო, და წინაშე ღმრთისა შეგვეწიე.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ცისკროვან-ჰყავ სული ჩემი, დაბნელებული შეცოდებათა სიმრავლითა, რომელმან ჰშევ მზჷ სიმართლისაჲ, მარადის ქალწულო.

### გალობა 5, *ღამითგანსა*

**ძლისპირი:** განგვანათლენ ჩუენ ნათლითა შენითა, უფალო, და მკლავითა მაღლითა მორწმუნეთა მშჯდობაჲ შენი ზეცით მომეც ჩუენ, კაცთ-მოყუარე.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ, ევედრე ღმერთსა ჩუენთჯს.**

ჷ, დიდებული საკჯრველი, სასწაულთა ელვითა უნათლეს მზისა ბრწყინავ შენ, უძლეველო მეფეთა შორის, და ჰნათობ ყოველთა კიდეთა ქუეყანისა ჩუენისათა, დაუვსებელისა ნათლისა მიფენითა, ღირსო.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ზეგარდამოჲთა მით მადლითა განათლდი შენ, ღირსო მეფეო, და დაიდგ სასანთლესა ზედა მაღალსა და განანათლე შენდა რწმუნებული ერი ქრისტჷს მოსახელჷ, აწ კარნი წყალობისანი განგვიხუენ ლოცვითა შენითა, გევედრებით.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ჰმატდი შენ მრავალთა ჯელმწიფეთა სიბრძნითა და გონიერებითა, სიმკნისა ღუაწლისა მოღუაწებითა დიდებულო, რომლისათჯსცა განგადიდა შენ ქრისტემან მეუფემან და მოგანიჭა ლხინებაჲ საუკუნოჲ.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

დიდებულებაი შენი ვინმე მიუთხრნეს, მეწამულად სისხლითა განბრწყინებულო, ღირსო წამებისაო, მეფეო ვახტანგ გორგასალო, რამეთუ დასთხიე სისხლი შენი ქრისტჷსთჯს და არა ჰრიდე თავსა შენსა მისთჯს.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

აწ ითხოვე ყოვლისა სოფლისათჯს მშჯდობით დაცვაჲ და ერსა ჩუენსა — ძლევაჲ და დამტკიცებაჲ მართმადიდებლობისაჲ ქრისტჷს ღმრთისაგან, და სულთა ჩუენთა უხუად დიდი წყალობაჲ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

მეოხ-გუეყავ, ძისა შენისა, ღმრთისმშობელო, რაჲთა გარდამოგვივლინოს სიმრავლჷ მოწყალებათაჲ, ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ.

### გალობა 6, *ღაღადყავსა*

**ძლისპირი:** ვედრებასა ჩემსა განვჰფენ უფლისა მიმართ და მას აუვარებ ბრალთა ჩემთა მარადის, რამეთუ ბოროტითა აღივსო სული ჩემი და სიმტკიცჷ ჩემი ჯოჯოხეთად მიიწია, და იონაისებრ ვღაღადებ: აღმომიყუანე მე, ღმერთო ჩემო, უფსკრულისაგან ცოდვისა.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

სამეფო ძოწეულითა შემკულმან ღმრთივმშუენიერად ჰქადაგე შენ სახარებაჲ სასუფეველისაჲ და წმიდაჲ ეკლესიაჲ ქართველთაჲ ღუაწლითა შენითა განაშუენე და შეამკევ, აწ მვედრებელთა შენთა წყალობით მოგუხედენ და გზაჲ იგი ჩუენი სამეუფოჲ წარგვიმართენ.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ჯაჭვი სარწმუნოებისაჲ სიმკნითა შეიმოსე, და ნიში ჯუარისაჲ საჭურველად აღიღე და მკედრად ქრისტესა ახოვნად გამოჩნდი, რამეთუ წინა-აღუდეგ მძლავრთა და დააკუეთე ეშმაკისა საცთური.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

მხიარულ ჰყოფს ცნობასა შემსხმელთა შენთასა სიმკნჷ შენი, და აცისკრებს გონებასა ახოვნებაჲ სულისაჲ და სიმრთელჷ ცნობისაჲ, და სიმტკიცჷ გონებისა შენისაჲ, აწ ცისკროვან-ყავ, კურთხეულო მეფეთა შორის, გონებაჲცა ჩუენი.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ჭირნი სიმართლედ უხრწნელად და სიკუდილი უკუდავებად შეგეცვალა შენ და ვნებანი ზიარ-ყოფად ვნებათა ქრისტჷსთა, რომელმანცა მკჯდრ-გყო უსხეულოთა თანა, მეოხ-გუეყავ მგალობელთა შენთა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

ზეცისა მხედრობათა ბანაკსა შეერთე შენ, მეფეო ყოვლად ბრწყინვალეო, რამეთუ ღმერთსა ჰმსახურე კეთილად და განუსვენე საქმეთა მიერ საწადელთა, აწ კარნი წყალობისანი განგვიხუენ ოხითა შენითა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

განჰკურნე უკურნებელი, უძლური, დაპყრობითა სიბოროტისაჲთა, მძჯნვარედ მოწყლული გული ჩემი, ყრმაო, და შენმიერსა კურნებასა ღირს-მყავ და მაცხოვნე მე, მოსავი შენი მეოხებითა შენითა, ყოვლადწმიდაო.

**კონდაკი**

ღუაწლი კეთილი მოიღუაწე სრულითა სარწმუნოებითა ქრისტჱსითა და ცეცხლმსახურნი განასხნენ საღმრთოჲთა გულსმოდგინებითა, ხოლო კლდეთა ზედა მაღალთა და ადგილთა მათ წმიდათა აღაშენე ეკლესია-მონასტერნი და განამაგრე ციხენი და ქალაქნი უბრძოლველნი, დიდებით დიდებულო, ვინაჲცა გჯრგჯნი სიმართლისაჲ ღირსად მიიღე და მსხუერპლად სათნოდ ღმრთისა შეიწირე, მას ევედრე ჴსნად ჩუენდა ყოვლისაგან ჭირისა და საფრჴეთაგან მტერისაჲთა, რომელნი გიღაღადებთ: გიხაროდენ, კაცთა შორის საკჯველო მეფეო და ახოვანო მოღუაწეო, წმიდაო ვახტანგ გორგასლანო!

**იკოსი**

ზეგარდამო მოვლენილო განწმედისათჳს ერისა შენისაო და გაძლიერებისათჳს იბერიისაო, რომელმან ერსა შენსა გვიქადაგე და განგვიჩინე: „მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდეგით და ეძიებდით ქრისტჱსთჳს სიკუდილსა“, ღმობიერ ჰყვენ გულნი ჩუენნი ფიცხელნი აწ ტკბილითა წყალობითა შენითა და წარმართენ სლვანი ჩუენნი გზასა სამეუფოსა, რაჲთამცა მივემთხვივნეთ მადლსა და წყალობასა მეოხებითა შენითა და ვიტყოდეთ ძალისაებრ ჩუენისა: გიხაროდენ, კაცთა შორის საკჯველო მეფეო და ახოვანო მოღუაწეო, წმიდაო ვახტანგ გორგასლანო!

**გალობა 7, კურთხეულარსა**

**ძლისპირი:** ყრმანი ებრაელნი სახუმილსა შინა ვიდოდეს ცეცხლსა ზედა კადნიერებით შეცურეულნი ღაღადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

მცნებათა შენთა დაცვითა შჯულსა შენსა ერჩდა, მჴსნელო, ძლევამოსილი მეფეი ქართველთაჲ, ამისთჳსცა უშჯულონი სპარაზენნი აღმოფხურნა და ღაღადებდა: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ვითარცა სპარსთა მრავალ ღონენი დააცხრვენ ჭირთა მძჯნვარებანი, მოწევნადი ერთა შენსა ზედა, ეგრეთვე აწ წინაშე ღმრთისა მდგომარემან, ვითარცა მოღუაწემან, ითხოვე ერისათჳს ჩუენისა ძლევაჲ მტერთა ზედა.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ვითარცა განაქარვე საცთური იგი ცეცხლ-თაყუანისმცემელთაჲ და კარი სარწმუნოებისაჲ განუღე მრავალთა ერთა, ეგრეთვე მგალობელთა შენთაგან განსდევნე ბნელი ჭირთა და განსაცდელთა მრავალსახეთა და გჯჴსენ ვნებათაგან.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

მოგწყლეს რაჲ ბრძოლასა შინა სპარსთა, დამძიმდი ფრიად სიკუდიდ, მჴნეო და ღირსო მოწამეობისაო, და ამცნე სახლეულსა შენსა და ერსა, რაჲთა მტკიცედ დგენ სარწმუნოებასა ზედა და ეძიებდენ ქრისტჱსთჳს სიკუდილსა სახელსა მისსა ზედა, რაჲთა მოიგონ წარუვალი დიდებაჲ.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ოდეს აღესრულე უჯარმასა, უძლეველო წინამბრძოლო ერისა ჩუენისაო, პატიოსანი გუამი შენი დაკრძალეს „დედასა ყოველთა ეკლესიათასა — სუეტიცხოველსა“, გარნა ძალითა ქრისტჱსითა სიკუდილისა შემდგომადცა ყოველთა მვედრებელთა შენთა მიჰმადლებ უხვსა საბოძვარსა წყაროჲსაგან ულევისა მადლისა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

კუართი შენი წმიდაჲ ძოწეულ-ყავ სისხლითა მეწამულითა, და შეიმოსე იგი სიწმიდით, კეთილმსახურო მართალო და დიდო მეფეო, წმიდაო ვახტანგ გორგასალო, და ქრისტესა

მეუფისა თანა იხარებ და გჯრგჯნითა უხრწნელებისაითა შემკობილი უკორცოთა თანა ადიდებ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ნებითა ჩემითა შეცოდებული და დამონებული ჩვეულებისაგან უჯეროჲსა, მოწყალებისა მომართ შენისა მოჯვლტი განწირული, მაცხოვნე, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო.

## გალობა 8, აკურთხევდითსა

**ძლისპირი:** შჯდწილ აღაგზნა საკუმილი, მძლავრმან ქალდეველმან ყრმათათჯს გულისწყრომითა, და რისხვითა, და ძალითა მაღლისაჲთა იხილნა უვნებელად დაცულნი ცეცხლისაგან განუხრწნელად, და დამბადებელისა მიმართ და მკსნელისა ღაღად-ყო: აკურთხევდით ყრმანი, და მღდელნი უგალობდით, ერნი უფრიჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

დღეს კსენებასა წმიდასა და ერის-კრებასა დიდისა მეფისასა, იშუებს ერი მორწმუნე და ღმრთივგანბრძნობილთა, მოყუარეთა დღესასწაულისათა კრებული, რამეთუ სახარულევან არს ერისადა მწყემსი, მეოხი და ღმრთისა მიმართ მკურვალედ მგალობელი: მღდელნი უგალობდით, ერნი უფროჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

უფალსა ყოვლის-მპყრობელსა ევედრე, ყოვლად დიდებულო, სახელოვანო კელმწიფეო, ჩუენ უღირსთა მონათათჯს, რაჲთა შენთანა უგალობდეთ მეუფესა ტკბილსა: მღდელნი უგალობდით, ერნი უფრიჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ბნელისა იგი უჩინო წყუდიადი განიოტე, ახოვანო, და სირცხვილეულ-ყვენ ყოველნი მტერნი ღმრთისანი, და ხწადიერებითა და სურვილითა ხმას უგალობდი: მღდელნი უგალობდით, ერნი უფრიჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ვახტანგ, მეფეო, მკნეო, ქუელო, კეთილ-მძლეო, და არ შერყეულო, შენ გაქებს პირი და ენა, სული, გული და გონება, და შენთანა უგალობთ დამბადებელსა: მღდელნი უგალობდით, ერნი უფროჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**ვაკურთხევთ მამასა და ძესა და წმიდასა, სულსა უფალსა.**

რომელი გჯრგჯნითა მეფობისაითა და პორფირითა მარტვილობისაჲთა იდიდე, ძლევითა და განმარჯუებითა აღსავსეო, და მოიღე შარავანდედი წარუვალისა მეფობისაჲ, შენდამი კეთილმსახურებითა მოლტოლვილნი აწ შეგვაწყნარენ ღმერთსა სახიერსა და განწმედაჲ გვითხოვე ჩუენ და მშჯდობაჲ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

თუალნი სულისა ჩემისანი გარდასლვითა დაბრმობილნი, ღმრთისმშობელო, განანათლენ, გონებაჲ და გული მრავალ-ხატითა აღშფოთებული დაამშჯდენ, გევედრები, მაცხოვნე მე მგალობელი: ყრმანი და მღდელნი უგალობდით, ერნი უფრიჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**ვაქებთ, ვაკურთხევთ, თაყუანის-ვსცემთ უფალსა, უგალობთ და აღუამაღლებთ მას უკუნისამდე.**

## გალობა 9, ადიდებდითსა

**ძლისპირი:** განკჯრდეს ზესკნელს ცანი, და კიდენი ქუეყანისანი შეძრწუნებულ იქმნეს, რაჟამს ღმერთი შენ მიერ კაცთა გამოუბრწყინდა და საშოჲ შენი უმაღლჩს ცათა საყდა-რთა გამოაჩინა. ამისთჯს, ღმრთისმშობელო, ანგელოზნი და კაცნი, ვითარცა ღირს ხარ, გადიდებენ შენ.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

რომელმან აღაშენე მონასტერნი ესე დიდებულნი და წმიდანი ეკლესიანი შემწყნარებელად ნათესავისა შენისა, ღმრთივშუენიერად შეიწყნარე მადლთა ბრწყინვალებაჲ და წესი ღმრთივსულიერი დაუტევე ერსა შენსა, რაჲთა ეძიებდენ ქრისტჩსთჯს სიკუდილსა.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

პირად-პირადად შემკულ ხარ გჯრგჯნითა და შარავანდედითა, და კუერთხითა სამეუფოჲთა, და პორფირითა და ბისონითა, შუენიერო დიდებაო კელმწიფეთაო, და

ჰსუფევ მეუფისა თანა ძალთასა, რამეთუ ღმერთსა მსახურე კეთილად და განუსვენე საქმეთა მიერ საწადელთა.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ვითარცა ლომი საცნაურ არს ბრჭყალთაგან თჳსთა, ეგრეთვე შენ, მეფეთა შორის საჩინოო და სანატრელო, საცნაურ იქმენ ღუაწლთაგან შენთა ურიცხუთა და საკჳრველთა, რომლისა ღირსად გამოთქუმაჲ ვერ ძალუძს ენასა კაცისასა.

**წმიდაო, დიდო მეფეო ვახტანგ გორგასალო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა.**

ჱ, ძალითა ქრისტჱსითა ძლევა-შემოსილო, ითხოვე მისგან მგალობელთა შენთათჳს გამოჴსნაჲ ღელვათაგან მძჳნვარეთა, რომელთა აღგჳძრავს მტერი იგი მოშურნჱ, არამედ შენითა ვედრებითა დაჴსენ ეშმაკი საცთური და ღირს-გვყვენ შენთანა სიხარულსა დაუსრულებელსა

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

საგალობელ არს ყოვლად წმიდაჲ ღუაწლი შენი, და სახელი შენი დიდ-საქებელ, რომელი ცათა შინა განისუენებ, და მჴედრობათა თანა ანგელოზთასა წინაშე მეუფისა სდგა, მცირედ მანდაჲთ გარდამოხედ ჩუენდა მომართ და იხილე, რაჲსა ესე აღვა-სრულებთ, და შეიწყნარე სიგლახაკჱ სიტყუათა ჩუენთაჲ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ყოველთა შემოქმედი და უფალი, მიდგომილმან შევ უკუე, ქალწულო, და აჰა, აწ მდგომარე ხარ მარჯუენით მამისა, ვითარცა დედოფალი, წმიდაო, ამისთჳსცა გევედრებით შენ, ნაწილისაგან მარცხენისა მიჴსენ მე დღესა შინა სასჯელისასა და მარჯვენითთა ცხოვართა თანა აღმრაცხე.

**განმანათლებელი**

აწ განათლდების ივერთა ეკლესიაჲ დიდებითა შენითა და იხარებს და განსცხრების კრებული მორწმუნეთაჲ მომხსენებელი ღუაწლისა შენისაჲ და ითხოვს წყალობასა, მოქალაქობითა მკნეო, ღუაწლისა მძლეო, უშიშო გონებითა, სასოებისა შენისა მოქენეთა ნუ განგვწირავ, მეფეო ვახტანგ, არამედ ითხოვე ყოვლისა სოფლისათჳს მშჳდობით დაცვაჲ, ხოლო ერსა ჩუენსა ძლევაჲ მტერთა და მაჭირვებელთა ზედა მოანიჭე და მგალობელთა შენთა უხუად დიდი წყალობაჲ.

**დიდებაჲ... აწდა...**

ხატისა შენისა არა თაყუანის-მცემელნი, ძისა და ღმრთისა შენისა, ქალწულო, სარწმუნოებითა წმიდითა განსდევნენ, ვითარცა უღმრთონი, და გეჰენიასა შინა შთასთხიენ.

**აქებდითსა ზედა დასდებელნი,**
**მუჯლი 6, ხმაჲ 1, შენ სიტყვაი**

ჱ, დიდებული სიმჴნჱ შენი, სწორუპოვარო მეფეო ქართველთაო, ახოვნებაჲ სულისაჲ და სიმტკიცჱ გონებისაჲ და დიდ-სულობაჲ ყოველსა შინა, სიწრფოებაჲ გულისაჲ და სიბრძნჱ მდიდარი და წყურილი ქრისტჱსთჳს სიკუდილისა, ამისთჳს ცათა შინა მიიღე გჳრგჳნი დიდებისაჲ და მადლი ჭირთაგან ჴსნისაჲ და უძლურთა კურნებისაჲ.

არა დაჰფარნა ღმერთმან შრომანი შენნი, ახოვანო მეფეო ქართველთაო, არამედ ნაშენებთა შენთა მიერ განჰსთქუა ბრწყინვალებაჲ მოღუაწებათა შენთაჲ, და ყოველთა მვედრებელთა შენთა შემწედ და კელისაღმპყრობელად გამოგაჩინა.

აჰა, სამარხოჲ ძუალთა შენთაჲ გვაქუს მორწმუნეთა ზღუდედ სიმტკიცისად, საუნჯედ მადლისად და ეშმაკთა მაოტებელად, ამისთჳს გული გჳთქმს მისლვად სუეტიცხოველსა, რაჲთა სიწმიდჱ ესე მჴურვალედ შევიტკბოთ და კურნებაჲცა აღმოვივსოთ მაქებელთა შენთა.

ჱ, ღირსო მეფეო, ვახტანგ სანატრელო, ჰსუფევ წინაშე ქრისტჱსსა ელვითა სულისაჲთა განათლებული და დიდთა მათ ღუაწლთა შენთა სიმტკიცითა შემკული; იმეოხენ წინაშე მისსა, განგვიმრავლდეს ყოვლისა ქართველთ ზნეობითა სრულ-ყოფილნი ერის-მძღუარნი, რაჲთა ზრუნვიდეს ერისა ჩუენისათჳს და ჴმითა მადლობისაჲთა ჰნატრიდეს სიმჴნეთა შენთა.

ჱ, ახოვანო წყობათა შინა და გამოცდილო რჩეულო მჴედარო, მეფეო ვახტანგ, ვითარცა ძალითა ქრისტჱსითა არცხვინე მტერთა მათ უკეთურთა, ეგრეთვე დაამჴუნე მტერნი ჩუენნი მცბიერნი და უკეთურებითა და ზაკუვით მოსრულნი ურიცხვნი

თანამზრახველნი მათნი, რომელნიცა მტრობენ დედისა ღმრთისა წილ-ხუდომილსა ერსა ჩუენსა, მართლმადიდებელსა და მართლაღმსაარებელსა.

ჶ, საჩინოო, ბრძენ-მკნეო, მეფეო ბრწყინვალეო, ვითარცა სპარსთა მრავალ ღონენი დააცხრვენ ჭირთა მძჯნვარებანი, მოწევნადი ერსა შენსა ზედა, ეგრეთვე აწ გარე წარაქციე ყოველნი მტერნი და მაჭირვებელნი ჩუენნი, რომელთა განიგდეს წილი სამკჯდრებელსა ჩუენსა ზედა და აღგჯდგუნე მამული ჩუენი – საქართველო – პირველსავე დიდებასა და დაიცევ სახლეულნი მისნი უცხო თესლთა ზედა მოსლვისაგან.

ჶ, მკნეო მეფეო, ახოვანო და შემმართებელო ძლიერო, ვითარცა შეიმოსე შენ ძალი ღმრთისაჲ და საჭურველითა ჯუარისაჲთა შეჭურვილთა კეთილად სრულ-ჰყავ სრბაჲ ღუაწლისა შენისაი, ეგრეთვე აწ ელვარებითა სიწმიდისა შენისაჲთა დაშრიტე საზეპუროსა ერსა ჩუენსა ზედა აღძრული საიდუმლოჲ იგი უშჯულოებისაჲ და დაგვიფარე მწვალებელთა შესაკრებელისაგან, რომელ არს „საძაგელი მოოხრებისაჲ“.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

გიხაროდენ, წყობასა შინა უძლეველო და სარწმუნოებისა თანა-შემწეო, რომელი შეიჭურვე საჭურველითა ჯუარისაჲთა, სასოებითა სარწმუნოებისაჲთა და სიყუარულითა სიმტკიცისაჲთა და დაჰლეწე ყოველი საჭურველი მძჯნვარისა ბრძოლისაჲ; გიხაროდენ, მირიანისა ღუაწლისა აღმადგინებელო სახელისათჯს ქრისტჱსა; გიხაროდენ, მართლმადიდებლობისა წყაროო დაუწყვედელო, რომელი დაათრობ კიდეთა ქუეყანისათა; გიხაროდენ, სიქადულო მეფეთაო, შვილთა მორჩილებად მამა-დედათა, და მშობელთა – სულითა საღმრთოჲთა შვილთა საყუარელთა მოწყალებად განმწვრთუნელო; გიხაროდენ, ქრისტეანეთა მეფეთა შარავანდედისა განმაბრწყინვებელო და სამეფოჲსა შენთა ერთ ზრახვად შემკველო, სამგზის სანატრელო მეფეო, წმიდაო ვახტანგ, მოსავნი შენნი ვითხოვთ ღმრთისაგან მშჯდობასა და დიდსა წყალობასა.

**აწდა, ღმრთისმშობლისა.**

**დემეტრე საქართველოს მეფისა, ბაგრატოვანისა.**

შენ ხარ ვენახი, ახლად აყუავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თჯსით მზე ხარ გაბრწყინვებული.

**დიდებაჲ მაღალი – გრძლად.**

**კვერექსი და განტევება.**

## ლიტურღიასა ზედა.

**მომიკსენენი კანონისაგან წმიდისა გალობა გ, და ვ, მუკლი 8**

**წარდგომა: ხმაჲ 4.** აღვამაღლო რჩეული ერისაგან ჩემისა, ვპოვე დავით მონაჲ ჩემი.

**მუკლი.** ამისთჯს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისა.

**სამოციქულო. ჰრომაელთა, თავი 13, მუკლი 1**

ძმანო ყოველნი ჯელმწიფებასა უმთავრესისასა მას დაემორჩილნენ.

**დასასრული, მუკლი 11**

აღმასრულებელი ჰსჯულისა სიყუარული არს.

**ალილუია, ხმაჲ I**

ძალითა შენითა იხარებდეს მეფე, და მაცხოვარებითა შენითა იშუებდეს ფრიად.

**მუკლი.** მოიხსენე, უფალო, დავით და ყოველი სიმშჯდჱ მისი.

**სახარება იოანესი, თავი 10, მუკლი 1**

ჰრქუა უფალმან მოსრულთა მათ მისსა მიმართ ჰურიათა...

**დასასრული, მუკლი 10**

და საძოვარი ჰპოვოს...

**განიცადე**

საკსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი.